ცხოველთა ზამთრის ძილი - ჰიბერნაცია

მოამზადა რუსუდან თედირაძემ

შემოდგომა ჭირნახულის დაბინავების დროა. ველ-მინდვრებში ყველა - დიდი თუ პატარა გაფაციცებით შრომობს, რომ ზამთრის სუსხის დაწყებამდე ბეღლებსა და მარნებში დააბინაოს მოსავალი, მომზადებული შეხვდეს ზამთარს.

ზამთრისათვის ასევე ემზადებიან ცხოველები. გადამფრენი ფრინველები გუნდებად იკრიბებიან და შორეულ მოგზაურობაში მიფრინავენ. ჩვენთან მობუდარეები კი ხილსა და კენკრას ეტანებიან, რომ მოიმატონ წონა და საკმარისი ენერგია ჰქონდეთ სუსხიან ზამთარში. ზოგიერთი ცხოველი კი ზამთრის ძილისათვის იწყებს მზადებას.

რა მნიშვნელობა აქვს ზამთრის ძილს - ჰიბერნაციას ცხოველებისთვის?

ჰიბერნაცია - ზამთრის ძილი ცხოველთა ზამთრის რთულ პირობებში გადარჩენის სტრატეგიაა; კერძოდ, სასიცოცხლო პროცესების დროებითი ღრმა დათრგუნვაა, რითაც ისინი თავს აღწევენ სეზონურ არახელსაყრელ პირობებს. ამ დროს ცხოველების ნივთიერებათა ცვლა (მეტაბოლიზმი) საგრძნობლად ნელდება, რაც მათ მინიმალური ენერგიით გადარჩენის საშუალება აძლევს. ჰიბერნაციის დროს ცხოველთა სხეულის ტემპერატურა, გულისცემა და სუნთქვის სიხშირე მკვეთრად ქვეითდება, რაც მათი ენერგიის ხარჯვის მაქსიმალურად შემცირებას უზრუნველყოფს. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მათ, გადარჩნენ მკაცრ კლიმატურ პირობებში საკვების ნაკლებობის დროს.

როგორ ემზადებიან ცხოველები ზამთრის ძილისთვის?

ზამთრისათვის მზადების პროცესში ცხოველები აქტიურად ჭამენ, იმატებენ წონაში, იგროვებენ ცხიმის მარაგს, რომელიც ზამთრის პერიოდში ენერგიის ძირითად წყაროდ გამოიყენება. ისინი ეძებენ დაცულ ადგილებს, სადაც ზამთარში უსაფრთხოდ შეძლებენ ძილს. ეს შეიძლება იყოს მიწისქვეშა სორო, მღვიმე, ხის ფუღურო, კლდის ნაპრალი ან სხვა მყუდრო და უსაფრთხო ადგილი.

რომელი ცხოველები ეძლევიან ზამთრის ძილს?

1. მინდვრის თაგვი:

ეს პატარა მღრღნელი თავის სოროში ზამთრისთვის საკვებს იმარაგებს და მოგვიანებით, ყინვების დაწყებისას ზამთრის ძილს ეძლევა. ამ დროს მისი სხეულის ტემპერატურა საგრძნობლად იკლებს.

2. ღამურა:

ღამურები ზამთარში მღვიმეებსა და ბნელ, დაცულ ადგილებში გუნდებად იკრიბებიან; მათი სხეულის ტემპერატურა და გულისცემა საგრძნობლად ქვეითდება და ისინი ძილის მდგომარეობაში გადადიან.

3. დათვი:

დათვი შემოდგომის პერიოდში ორგანიზმში დიდი რაოდენობით ცხიმს იგროვებს. მისი ჰიბერნაცია განსხვავდება სხვა ცხოველების ძილისაგან. რადგან ის ძუძუმწოვარია, მისი სხეულის ტემპერატურა შედარებით სტაბილურია და მხოლოდ რამდენიმე გრადუსით ქვეითდება.

4. ზღარბი:

ზღარბი ზამთრისთვის მიწაში ბუნაგს იმზადებს და იქ გადადის ჰიბერნაციაში; მისი სხეულის ტემპერატურა საგრძნობლად ქვეითდება და ხანგრძლივი მკაცრი ყინვები შეიძლება მისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს.

5. მელა:

მელა, ზოგადად, არ მიმართავს ზამთრის ძილს, თუმცა ზამთრის პერიოდში აქტივობას ამცირებს და სოროში მეტ დროს ატარებს.